ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №15

12.06.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, თარაშ შურღაია, ლევან ჯაფარიძე, გიორგი დოხტურიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **რუსუდან მირზიკაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ეკა ცეცხლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას წარუძღვა (თავმჯდომარეობდა): ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბატონი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 31 მაისის №12-031815182-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 7 ივნისის №12-031815822-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 8 ივნისის №12-03181596-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 31 მაისის №12-031815182-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი. აღნიშნული საკითხები წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 24 მაისის №18.345.591 განკარგულების (წინადადება: AR1558873; AR1559702), ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 24 მაისის №18.345.584 განკარგულების (წინადადება: AR1574393; AR1587475; AR1587609; AR1590489; №01181271859-67) საფუძველზე შემუშავებული დადგენილების პროექტების სახით (სულ: 7 წინადადება).

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული საკითხები პუნქტობრივად იქნა განხილული (სულ: 7 წინადადება).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ა" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 24 მაისის №18.345.591 განკარგულება) - **ქ. თბილისში, დელისის III შესახვევის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.14.15.002.076, 01.14.15.002.008, 01.14.15.002.066, 01.14.15.002.083, 01.14.15.002.050, 01.14.15.002.034, 01.14.15.002.036, 01.14.15.002.078, 01.14.15.001.222) და მიმდებარედ (ჯამური ფართით 7984 კვ.მ.) ზოგადი საცხოვრებელი ზონის და საცხოვრებელი ზონა 2-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით, სარეკრეაციო ზონა 2-ით და სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილების შესახებ** (AR1558873).

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაინტერესებულმა პირმა (განმცხადებელი: თეიმურაზ ჯაფარიძე) AR1558873 განცხადებით მოითხოვა საცხოვრებელი ზონის (სზ) და საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2), საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6), სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება დელისის მოედნის მიმდებარედ (ნაკვეთი 01/222), დელისის III შესახვევის მიმდებარედ, კამანის ქუჩა N20, კამანის ქუჩა N18, დელისის III ქუჩა, N22/დელისის III ქ. N22-ის მიმდებარედ, დელისის

III შესახვევი N22-ის მიმდებარედ, კამანის ქუჩა N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.14.15.001.222; 01.14.15.002.078; 01.14.15.002.036; 01.14.15.002.034; 01.14.15.002.050; 01.14.15.002.083; 01.14.15.002.066; 01.14.15.002.008; 01.14.15.002.076; ფართობი: 7984 კვ.მ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის №434 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე რეგისტრირებული AR1524365 განაცხადის შესაბამისად. ხოლო დადგენილების პროექტის დანართის სახით წარმოდგენილი ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პირველი საკითხის (წინადადების) სარეზოლუციო ნაწილში მითითებული საპროექტო ტერიტორიის მისამართი **(ქ. თბილისი, დელისის III შესახვევის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდი: №№01.14.15.002.076; 01.14.15.002.008; 01.14.15.002.066; 01.14.15.002.083; 01.14.15.002.050; 01.14.15.002.034; ; 01.14.15.002.036; 01.14.15.002.078; 01.14.15.001.222;) და მიმდებარედ (ჯამური ფართით: 7984 კვ.მ.))** არ არის სრულად ასახული, რაც საჭიროებს გასწორებას.

კომისიის წევრებმა მომხსენებლის ქ-ნი ე. ცეცხლაძის ინფორმაცია ცნობად მიიღეს.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1) **ცნობად იქნას მიღებული** მომხსენებლის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენლის (ე. ცეცხლაძე) ინფორმაცია დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი საკითხის (წინადადების) განმარტებითი ბარათის („ა“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) ჩანაწერთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროების თაობაზე.

2) **კენჭი ეყაროს** ქ. თბილისში, დელისის III შესახვევის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№ 01.14.15.002.076, 01.14.15.002.008, 01.14.15.002.066, 01.14.15.002.083, 01.14.15.002.050, 01.14.15.002.034, 01.14.15.002.036, 01.14.15.002.078, 01.14.15.001.222) და მიმდებარედ (ჯამური ფართით 7984 კვ.მ.) ზოგადი საცხოვრებელი ზონის და საცხოვრებელი ზონა 2-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით, სარეკრეაციო ზონა 2-ით და სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 24 მაისის №18.345.591 განკარგულება) - **ქ. თბილისში, ქუჩა II ხეივანი, №10-12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.05.003.052) (კორექტირებული ფართობი 2386 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონის, სატრანსპორტო ზონა 1-ის და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით და სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილების შესახებ (AR1559702).**

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 24 მაისის №18.345.584 განკარგულება) - **ქ. თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, II, III და IV მ/რ-ის მიმდებარედ/ქალაქ თბილისი, ნუცუბიძის II, III და IV-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.01.138.084) (203 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 2-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილების შესახებ (AR1574393).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაინტერესებულმა პირმა (ლევან სვანი) AR1574393 განაცხადით მოითხოვა საცხოვრებელი ზონა 2-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, II, III და IV მ/რ-ის მიმდებარედ (ნაკვ. 15/155) ქალაქი თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II, III და IV მ/რ-ის მიმდებარედ, ნაკვეთი №56-ზე (საკადასტრო კოდი: №01.14.02.011.052, ფართობი: 203 კვ.მ.). აღნიშნული საკადასტრო ერთეულის ძირითად ნაწილზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6, ასევე საცხოვრებელი ზონა 2 და წარმოადგენს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ხარვეზს, რომლის ცვლილება არ გამოიწვევს ფუნქციურ ზონებს შორის ერთიანობის რღვევას. გარდა ამისა, აღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ და ბ-ნმა რ. სოხაძემ - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის *(№18-62 დადგენილება 04.05.2018წ.)* საფუძველზე (რომლის

თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება შეზღუდვა დადგენილი ფუნქციური ზონების ცვლილების მიზნით), **ქ. თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, II, III და IV მ/რ-ის მიმდებარედ/ქალაქ თბილისი, ნუცუბიძის II, III და IV-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.01.138.084) (203 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 2-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილების მიზანშეუწონლობის (უარყოფითად შეფასების) შესახებ.**

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა **ქ. თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, II, III და IV მ/რ-ის მიმდებარედ/ქალაქ თბილისი, ნუცუბიძის II, III და IV-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.01.138.084) (203 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 2-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილების საკითხი.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 24 მაისის №18.345.584 განკარგულება) - **ქ. თბილისში, ლისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№72.16.21.768, 72.16.21.770, 72.16.21.769) (81 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის სარეკრეაციო ზონა 3-ით ცვლილების შესახებ (AR1587475).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაინტერესებულმა პირმა (ნათია ჯანაშია) AR1587475 განაცხადით მოითხოვა სატრანსპორტო ზონა 1-ის სარეკრეაციო ზონა 3-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, ლისის ტერიტორია (საკადასტრო კოდი: №72.16.21.768), ქალაქ თბილისში, ლისის ტერიტორია (საკადასტრო კოდი: №72.16.21.770) და ქალაქ თბილისში, ლისის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №72.16.21.769) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ფართობი: 81 კვ.მ.). აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს ლისზე, ბრიტანულ-ქართული აკადემიის მიმდებარედ, რომელიც გაუნაშენიანებელი და მოუწესრიგებელია. მოცემულ არეალში, სატრანსპორტო ზონა 1-ის არსებობა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ხარვეზია, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიას არცერთი მხრიდან სატრანსპორტო ბმა არ გააჩნია და ამოვარდნილია ლოგიკური კონტურიდან.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ და ბ-ნმა რ. სოხაძემ - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის *(№18-62 დადგენილება 04.05.2018წ.)* საფუძველზე (რომლის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება შეზღუდვა დადგენილი ფუნქციური

ზონების ცვლილების მიზნით), ქ. თბილისში, ლისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.16.21.768, 72.16.21.770, 72.16.21.769) (81 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის სარეკრეაციო ზონა 3-ით ცვლილების მიზანშეუწონლობის (უარყოფითად შეფასების) შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქ. თბილისში, ლისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.16.21.768, 72.16.21.770, 72.16.21.769) (81 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის სარეკრეაციო ზონა 3-ით ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „გ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 3; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 24 მაისის №18.345.584 განკარგულება) - ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.006.179) (38 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 1-ით ცვლილების შესახებ (AR1587609).

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „დ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 4; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 24 მაისის №18.345.584 განკარგულება) - ქ. თბილისში, წყალსადენის ქუჩა №20-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.04.028.118) (4 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების შესახებ (AR1590489).

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 5; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 24 მაისის №18.345.584 განკარგულება) - **ქ. თბილისში, დიდ დიღომში, მიკრო/რაიონი II, ი. პეტრიწის და დ. თავდადებულის ქუჩებს შორის (ნაკვეთი №6/72) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.072) (11 599 კვ.მ.) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილების შესახებ (№01181271859-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაინტერესებულმა პირმა (თ. წულაია) №01181271859-67 განაცხადით მოითხოვა ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი II, ი. პეტრიწის და დ. თავდადებულის ქუჩებს შორის (ნაკვეთი №6/72) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.072, ფართობი: 11 599 კვ.მ.) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით, „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის II მიკრო/რაიონში, ი. პეტრიწისა და დ. თავდადებულის ქუჩებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტო კოდი: №01.10.06.006.072 მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 მაისის №93 განკარგულებით დამტკიცებული მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე რეგისტრირებული AR1514540 განაცხადის შესაბამისად. ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 24 მაისის №18.345.584 განკარგულების საფუძველზე წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართის - ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 საკითხის ჩანაწერში („**ქ. თბილისში, დიდ დიღომში, მიკრო/რაიონი II, ი პეტრიწის და დ. თავდადებულის ქუჩებს შორის (ნაკვეთი №6/72) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.072) (11599 კვ.მ.) *<u>საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2</u>* ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით**“) არსებული ფუნქციური ზონა - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 მითითებულია შეცდომით და საჭიროებს გასწორებას საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის სახით.

კომისიის წევრებმა მომხსენებლის ქ-ნი ე. ცეცხლაძის ინფორმაცია ცნობად მიიღეს.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1) **ცნობად იქნას მიღებული** მომხსენებლის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენლის (ე. ცეცხლაძე) ინფორმაცია დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 საკითხის (წინადადების) ჩანაწერში შეცდომით მითითებული ფუნქციური ზონის (საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2) გასწორების თაობაზე.

2) **კენჭი ეყაროს** ქ. თბილისში, დიდ დიღომში, მიკრო/რაიონი II, ი. პეტრიწის და დ. თავდადებულის ქუჩებს შორის (ნაკვეთი №6/72) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.072) (11599 კვ.მ.) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. **უარი ეთქვას** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 31 მაისის №12-031815182-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათით წარმოდგენილ:

1) ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, II, III და IV მ/რ-ის მიმდებარედ (ნაკვ. 15/155) ქალაქი თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II, III და IV მ/რ-ის მიმდებარედ, ნაკვეთი №56-ზე (საკადასტრო კოდი: №01.14.02.011.052, ფართობი: 203 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 2-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილებას (**AR1574393**);

2) ქ. თბილისში, ლისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №№72.16.21.768, 72.16.21.770, 72.16.21.769) სატრანსპორტო ზონა 1-ის სარეკრეაციო ზონა 3-ით ცვლილებას (**AR1587475**).

2. **დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 31 მაისის №12-031815182-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადების - AR1558873; AR1559702; AR1587609; AR1590489; №01181271859-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა, კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 8 ივნისის №12-03181596-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი №AR1561609 განცხადებით, განმცხადებელმა გურამ მგელაძემ მოითხოვა სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №33-ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.14.14.012.048, ფართობი: 3274 კვ.მ.) და მის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე, ჯამში 3550 კვ.მ. ფართობზე. დაინტერესებაში არსებული ტერიტორია გამოდის ცენტრალურ გამზირზე, არის ყოფილი საავადმყოფოს საზღვრებში და დღევანდელი მდგომარეობით წარმოადგენს მრავალფუნქციურ შენობას, რაც რეალურად არ შეესაბამება არსებული ფუნქციური ზონის მოთხოვნებს და არის დამაბრკოლებელი გარემოება შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციისათვის. ვინაიდან მიწის ნაკვეთს აღმოსავლეთით ესაზღვრება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ხარჯზე შესაძლებელია ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №33-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.14.012.048), ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №33-ში არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.14.14.012.045) და მათ მიმდებარედ (ჯამური ფართობით: 3550კვ.მ.) განხორციელდეს სპეციალური ზონა 1-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 7 ივნისის №12-031815822-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №AR1561609) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 23 აპრილის №12-031811321-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი წარმოადგინა წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით

(სულ: 7 წინადადება - AR1549638; AR1567389; AR1557025; AR1558516; AR1566754; AR1555796; AR1585654).

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული საკითხები პუნქტობრივად იქნა განხილული (სულ: 7 წინადადება).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) - ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის მე-8 კილომეტრზე არსებულ ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.21.002.014) (7548 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონის და სატრანსპორტო ზონა 1-ის სამრეწველო ზონა 1-ით ცვლილების შესახებ (AR1549638).

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) - ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, №106-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.19.16.002.137, 01.19.16.002.142) (20 989 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 5-ის და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის სამრეწველო ზონა 1-ით და სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილების შესახებ (AR1567389).

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 3) - ქ. თბილისში, დასახლება დიდ დიღომში, ველოტრეკის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე

(საკადასტრო კოდი: №№01.10.06.001.248, 01.10.06.001.249) (724 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილების შესახებ (AR1557025).

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „დ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 4) - ქ. თბილისში, თ. ერისთავის ქუჩა №8-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.12.12.003.093, 01.12.12.003.094) (8825 კვ.მ.) სამრეწველო ზონა 1-ის, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის, სარეკრეაციო ზონა 2-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების შესახებ (AR1558516).

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთების თანახმად, დაინტერესებულმა პირმა (განმცხადებელი: გიორგი დალაქიშვილი) AR1558516 განცხადებით მოითხოვა ქალაქ თბილისში, ერისთავის ქუჩა №8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №№01.12.12.003.094, 01.12.12.003.093, საერთო ფართობი ფართობი: 8825 კვ.მ.) ფუნქციური ზონის - სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ითა (სზ-6) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით „ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თ. ერისთავის ქ. №8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.003.079) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის №435 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. დადგენილების პროექტის დანართის სახით წარმოდგენილი ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 საკითხის (წინადადების) სარეზოლუციო ნაწილისა და საჯარო რეესტრის ამონაწერის გაცნობის საფუძველზე, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის №435 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „დ" ქვეპუნქტის ჩანაწერი (კორექტირებული ფუნქციური ზონის ფართობი და კორექტირებული ფუნქციური ზონები) საჭიროებს გასწორებას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2017 წლის 7 ნოემბრის №435 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანას.

კომისიის წევრებმა მომხსენებლის ქ-ნი ე. ცეცხლაძის ინფორმაცია ცნობად მიიღეს.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1) **ცნობად იქნას მიღებული** მომხსენებლის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენლის (ე. ცეცხლაძე) ინფორმაცია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის ჩანაწერის (კორექტირებული ფუნქციური ზონის ფართობი და კორექტირებული ფუნქციური ზონების) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის №435 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე.
2) **კენჭი ეყაროს** ქ. თბილისში, თ. ერისთავის ქუჩა №8-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.12.12.003.093, 01.12.12.003.094) (8825 კვ.მ.) სამრეწველო ზონა 1-ის, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის, სარეკრეაციო ზონა 2-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

- **განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 5) - ქ. თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№81.02.30.055, 81.02.30.056, 81.02.30.062, 81.02.30.004, 81.02.30.058, 81.02.30.028, 81.02.30.026,81.02.30.059, 81.02.30.060, 81.02.30.061, 81.02.30.057, 81.02.30.027, 81.02.03.551) (10 700 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 3-ის საცხოვრებელი ზონა 1-ით და სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილების შესახებ (AR1566754).**

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

- **განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 6) - ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზირი №2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.04.026.048, 01.11.04.026.109, 01.11.04.026.110) (43 000 კვ.მ.) სამრეწველო ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით, სარეკრეაციო ზონა 1-ით და სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილების შესახებ (AR1555796).**

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთების თანახმად, დაინტერესებულმა პირმა (განმცხადებელი: ინგა გიორგანაშვილი) AR1555796 განცხადებით მოითხოვა ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზირი №2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.04.026.048, 01.11.04.026.109, 01.11.04.026.110) (საერთო ფართობი: 43 000 კვ.მ.) ფუნქციური ზონის ცვლილება „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, სარაჯიშვილის გამზ. №2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.04.026.048, 01.11.04.026.109, 01.11.04.026.110) მრავალფუნქციური ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის №444 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი საპროექტო ტერიტორიების ფუნქციური ზონების შესაბამისად. №444 განკარგულების საფუძველზე, №№01.11.04.026.048, 01.11.04.026.109, 01.11.04.026.110 საპროექტო ტერიტორიაზე (საერთო ფართობი: 43 000 კვ.მ.) არსებული სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) უნდა შეიცვალოს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი და დანართის სახით წარმოდგენილი ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 საკითხის ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებასა და „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, სარაჯიშვილის გამზ. №2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.04.026.048, 01.11.04.026.109, 01.11.04.026.110) მრავალფუნქციური ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის №444 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი საპროექტო ტერიტორიების ფუნქციურ ზონებთან შესაბამისობაში მოყვანას.

ქ-ნმა **რუსუდან მირზიკაშვილმა (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი)** დამატებით აღნიშნა, რომ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე მომუშავე ჯგუფის რეკომენდაციით, დედაქალაქში, გარკვეულ ტერიტორიებზე (მიწის ნაკვეთებზე) სამშენებლოდ განვითარების მიზნით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმების პროექტები საჭიროებს გადახედვას (რევიზიას), მათ შორისაა „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, სარაჯიშვილის გამზ. №2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.04.026.048, 01.11.04.026.109, 01.11.04.026.110) მრავალფუნქციური ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტიც. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე, აღნიშნული რევიზია სამართლებრივად ვერ განხორციელდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განსახილველად წარმოადგინა ფუნქციური ზონის ცვლილებების საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის №444 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

კომისიის წევრებმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინფორმაცია ცნობად მიიღეს.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1) **ცნობად იქნას მიღებული** მომხსენებლის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენლის (ე. ცეცხლაძე) ინფორმაცია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და დანართის სახით წარმოდგენილი ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 საკითხის ჩანაწერის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის №444 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი საპროექტო ტერიტორიების ფუნქციურ ზონებთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე.

2) **კენჭი ეყაროს** ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზირი №2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.04.026.048, 01.11.04.026.109, 01.11.04.026.110) (43 000 კვ.მ.) სამრეწველო ზონა 1-ისა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით, სარეკრეაციო ზონა 2-ით და სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 7) - **ქ. თბილისში, გრიბოედოვის ქუჩა №31-33-ში არსებულ ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.15.05.008.007, 01.15.05.008.028) (37 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 2-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების შესახებ (AR1585654).**

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთების თანახმად, დაინტერესებულმა პირმა (განმცხადებელი: მაგდა ქაჯაია) AR1585654 განცხადებით მოითხოვა სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი №42/ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩა №31ა (საკადასტრო კოდი: №01.15.05.008.028), ქალაქ თბილისში, გრიბოედოვის ქუჩა №31-33-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.05.008.007) მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ფართობი: 37 კვ.მ.), შენობაზე კიბის უჯრედის და მსუბუქი კონსტრუქციის ფოიეს მოწყობის მიზნით. ხოლო დანართის სახით წარმოდგენილი ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 საკითხის (წინადადების) სარეზოლუციო ნაწილში მისამართის მითითებისას დაფიქსირებულია მხოლოდ გრიბოედოვის ქუჩა №31-33, რაც საჭიროებს გასწორებასა და განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში მითითებულ სრულ მისამართთან (ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა №31-33, შოთა რუსთაველის გამზირი №42) შესაბამისობაში მოყვანას.

კომისიის წევრებმა მომხსენებლის ქ-ნი ე. ცეცხლაძის ინფორმაცია ცნობად მიიღეს.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1) **ცნობად იქნას მიღებული** მომხსენებლის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენლის (ე. ცეცხლაძე) ინფორმაცია დანართის სახით წარმოდგენილი ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 საკითხის (წინადადების) სარეზოლუციო ნაწილში დაფიქსირებული მისამართის განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში მითითებულ სრულ მისამართთან (ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა №31-33, შოთა რუსთაველის გამზირი №42) შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე.

2) **კენჭი ეყაროს** ქ. თბილისში, გრიბოედოვის ქუჩა №31-33-ში, შოთა რუსთაველის გამზირი №42-ში არსებულ ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.15.05.008.007,

01.15.05.008.028) (37 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 2-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 8 ივნისის №12-03181596-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 7 წინადადების - AR1549638; AR1567389; AR1557025; AR1558516; AR1566754; AR1555796; AR1585654) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა, კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე